ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/07

დაბა ქედა, 27 მაისი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:10 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 17 .

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე-ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე- ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე- ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე-ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/07 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 მაისი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	—
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	—
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	—
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დამსწრეთ მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრება უსურვა, შემდეგ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის პირველი კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგი.

1. მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №12-95220964-95, 06.04.2022 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილებები შევა დადგენილებით დამტკიცებული დანართის სხვადასხვა მუხლში, აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდება ,,ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" დადგენილების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ,,ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელება.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, ვის მიერ იქნებოდა დაფინანსებული მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი იდეები და ვინ განსაზღვრავს იდეის დაფინანსების თანხას.

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რამდენი ლარი იყო იდეის დაფინასების ზღვრული ნორმა.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობაში შედის ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეები, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელები და მოწყვლადი ჯგუფების და სპეციალური საჭიროებების მქონე პირები, რაც შეეხება პროექტის ფარგლებში იდეების დაფინანსებას, მუნიციპალიტეტი ადილობრივი ბიუჯეტით, საკუტარი შემოსავლებით უზრუნველყოფს. იდეების მუნიციპალიტეტის კომპეტენციასთან შესაბამისობას დაადგენს საბჭო, რის შემდეგაც გაიმართება კენჭისყრა და გამარჯვებული იდეები წარედგინება ქედის მუნიციპალიტეტის მერს, რათა ინიცირებული იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად. აქვე განმარტა, რომ სოფელზე მინიმალური თანხა 10 000 ლარია გამოყოფილი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ არსებული წესით გამარჯვებული პროექტების მერისთვის წარდგენა უნდა მოხდეს 2022 წლის 1 ოქტომბრამდე, რადგან მისი განხორციელება მომავალი წლის ბიუჯეტში იქნას გათვალისწინებული. თუმცა მიზანშეწონილია დადგენილების აღნიშნული პუნქტი ჩასწორდეს და 1 ოქტომბრამდე საბჭომ უზრუნველყოს გამარჯვებული იდეების წარდგენა მუნიციპალიტეტის მერისთვის მიმდინარე წლისთვისაც. შესაბამისად, მიზანშეწონილია დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) არაუგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა, მერს წარუდგენს გადაწყვეტილებას ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით, მოქალაქეების მიერ შერჩეული საპროექტო წინადადებების ნუსხის შესახებ;"

აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტს წარმოდგენილი პროექტების განხორციელება შესრულებული იქნას მიმდინარე კენჭისყრის ჩატარების წელსვე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს მომხსენებლის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება № 8, 27.05.2022 წელი).

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სულიკო სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №12-952213610-95, 15.05.2022 წელი.) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები. წარმოდგენილი ნორმატიული აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა დროულად განხორციელდეს საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილებების ასახვა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მოქმედ სამართლებრივ აქტში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №9, 27.05.2022 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში დანართის შესაბამისად (წერილის ნომერი №12-95221221-95, 02.05.2022 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასების წინადადებას კენჭი უყარა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ანგარიში შეფასებულ იქნას დადებითად.

(განკარგულება №95.95221471, 27.05.2022 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი №12-952213710-95, 17.05.2022 წელი.).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე ლევან ვერძაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს მახუნცეთის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ სამი საოფისე სეიფის ჩამოწერასთან დაკავშირებით, თუ როდის მოხდებოდა შესაბამისი კომისიის მიერ ჩამოწერა.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დაინტერესდა სოფელ ახოში არსებული საპირფარეშოს საკანალიზაციო სისტემს მოწესრიგების პროექტთან დაკავშირებით, ასევე თუ არის სიახლე მუნიციპალიტეტის შენობაში არსებულ ორი ამორტიზირებული დარბაზის რემონტის პროექტირების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფელ პირველ მაისში არსებულ ახლადაშენებული ეკომიგრანტებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლის ჩაბარება როდისთვის იყო დაგეგმილი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული საოფისე სეიფების ჩამოწერა მოხდება ეტაპობრივად, რაც შეეხება სოფელ ახოში არსებული პროექტის განხორციელებას, წარმოდგენილი ტერიტორია არასამთავროების მიერ იქნა შესწავლილი და წყალგაუმტარობის გამო ვერ მოხერხდა აღნიშნული პროექტის განხორციელება, შესაბამისად მიმდინარეობს ალტერნატიული ნაკვეთის მოძიება საკანალიზაციო ჭის მოწყობის მიზნით. რაც შეეხება ეკომიგრანტებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლი უკვე ჩაბარებულია და ბინებიც არის განაწილებული. თუმცა ამ ეტაპზე არის დასახლების წყლით უზრუნველყოფის პრობლემა, რადგანაც წყლის სისტემის მოწყობა კერძოს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე უნდა განხორციელდეს, რასაც არ ეთანხმება მოსახლეობის ნაწილი და მიმდინარეობს მოლაპარაკება პრობლემის მოგვარების მიზნით.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა გამოთქვა უკმაყოფილება მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიმართ და განაცხადა - ,,როგორ შეიძლება ჩაიბარო შენობა მაშინ როდესაც შენობაში წყალი არაა და საცხოვრებლად გამოუყენებელია." აქვე დაამატა რომ ის ამ სამსახურის ანგარიშს მხარს არ დაუჭერდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რეზო თურმანიძემ აღნიშნა, რომ სოციალური სახლის მშენებლობა არის ცალკე პროექტი და დასრულებულია, წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნები, რომ შენობა პროექტის შესაბამისადაა აშენებული და აქ კითხვის ნიშნები ჩაბარებასთან დაკავშირებით არასწორია, ხოლო წყლის სისტემის მშენებლობა აღნიშნული დასახლების უზრუნველსაყოფად ცალკე პროექტია, რაც ვერანაირად იქნება დაკავშირებული შენობის ჩაბარებასთან, თუმცა მნიშვნელოვანია

მოსახლეობის მიერ გამოჩენილ იქნას გულსხმიერება და მათივე საკეთილდღეოდ მოგვარებული იქნას ქვედა აგარის დასახლების ახალი წყლის სიტემით უზრუნველყოფა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასების წინადადებას კენჭი უყარა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 2 (გოჩა ჟღენტი და ჯემალ დავითაძე)

დაადგინეს: ანგარიში შეფასებულ იქნას დადებითად.

(განკარგულება № 95.95.221472, 27.05.2022 წელი).

5. მოისმინეს: ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის პირველი კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სულიკო სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის პირველი კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი № 12-95221394-95, 19.05.2022 წელი.).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, ვინ ახორციელებდა ორმულ შეკეთებას ქედა ბათუმის საავტომობილო გზაზე.

მომხსენებელმა განმარტა რომ, ბათუმი-ახალციხის გზის ორმულ შეკეთებას და სხვა სახის მიმდინარე სამუშაოებს საქართველოს სააავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასების წინადადებას კენჭი უყარა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ანგარიში შეფასებულ იქნას დადებითად.

(განკარგულება № 95.95221473, 27.05.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:10 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე